

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის

2014 წლის 6 თებერვლის სხდომის

ოქმი №47

სტუ-ს სენატს სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოდგინა საკითხი სტუ-ს სტრუქტურული ერთეულების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების, საშტატო ერთეულების რაოდენობისა და სახელფასო ფონდების დამტკიცების შესახებ. ასევე, სტუ-ს შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის, ბატონ მალხაზ ლომთაძის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სსიპ -საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ. მესამე საკითხი სენატს სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ წარუდგინა – სტუ-სთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „კონფლიქტების დარეგულირების სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური კვლევების ცენტრის” შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აღნიშნული საკითხების შესახებ სენატის 28 წევრიდან (1 საპატიო წევრი) 24 წევრს მიეწოდა ინფორმაცია და გამოკითხვის წესით მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილებები.

### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატს პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარუდგინა საკითხი სტუ-ს სტრუქტურული ერთეულების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების, საშტატო ერთეულების რაოდენობისა და სახელფასო ფონდების დამტკიცების შესახებ.

სენატმა გადაწყვიტა:

1. გაიზარდოს სტუ-ს ბიუჯეტი, როგორც საშემოსავლო, ისე ხარჯვითი ნაწილი - 524 723 ლარით.
2. დამტკიცდეს სტუ-ს კვლევითი ინსტიტუტების 2014 წლის I კვარტალის ბიუჯეტები და საშტატო განრიგები წარმოდგენილი სახით, კერძოდ:
  - 2.1. ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის ბიუჯეტი - 115 600 ლარი; საშტატო ერთეული - 52; სახელფასო ფონდი - 91 350 ლარი;

2.2. სენსორული ელექტრონიკისა და მასალათმცოდნეობის სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრის ბიუჯეტი - 2 427 ლარი; საშტატო ერთეული - 3,5; სახელფასო ფონდი - 2 427 ლარი;

2.3. გეოეკოლოგიური მონიტორინგის განყოფილების ბიუჯეტი - 4 235 ლარი; საშტატო ერთეული - 3; სახელფასო ფონდი - 4 110 ლარი;

2.4. ვლ. ჭავჭავაძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის ბიუჯეტი - 98 707 ლარი; საშტატო ერთეული - 174; სახელფასო ფონდი - 90 405 ლარი;

2.5. ნ.მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ბიუჯეტი - 40 792 ლარი; საშტატო ერთეული - 61; სახელფასო ფონდი - 35 040 ლარი;

2.6. ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის ბიუჯეტი - 62 370 ლარი; საშტატო ერთეული - 69,5; სახელფასო ფონდი - 57 651 ლარი;

2.7. კვების მრეწველობის ინსტიტუტის ბიუჯეტი - 21 645 ლარი; საშტატო ერთეული - 35; სახელფასო ფონდი - 17 115 ლარი;

2.8. მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტის ბიუჯეტი - 4 635 ლარი; საშტატო ერთეული - 15,5; სახელფასო ფონდი - 4 635 ლარი;

2.9. წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის ბიუჯეტი - 37 957 ლარი; საშტატო ერთეული - 60; სახელფასო ფონდი - 30 555 ლარი;

2.10. ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის ბიუჯეტი - 18 585 ლარი; საშტატო ერთეული - 19; სახელფასო ფონდი - 16 050 ლარი;

2.11. ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის ბიუჯეტი - 53 865 ლარი; საშტატო ერთეული - 68; სახელფასო ფონდი - 51 900 ლარი;

2.12. ინსტიტუტი „ტალღას“ ბიუჯეტი - 9 831 ლარი; საშტატო ერთეული - 11,5; სახელფასო ფონდი - 9 831 ლარი;

2.13. საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის ბიუჯეტი - 19 417 ლარი; საშტატო ერთეული - 21,5; სახელფასო ფონდი - 18 165 ლარი;

2.14. ინსტიტუტი „ტექინფორმის“ ბიუჯეტი - 22 298 ლარი; საშტატო ერთეული - 31; სახელფასო ფონდი - 19 161 ლარი;

2.15. „ბიოტექნოლოგიის ცენტრის“ ბიუჯეტი - 12 359 ლარი; საშტატო ერთეული - 16; სახელფასო ფონდი - 9 909 ლარი.

2.16. ასევე, ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 4 836 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლში.

2.17. მეცნიერების განვითარებისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში შიდა საუნივერსიტეტო პროექტის №3 ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში მივლინების მუხლიდან 1 000 ლარი გადატანილ იქნეს სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯების პუნქტში.

3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2014 წლის 1-ლი თებერვლიდან.

## გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატს სტუ-ს შიდა აუდიტის სამსახურის უფროსმა, ბატონმა მალხაზ ლომთაძემ წარუდგინა საკითხი სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის დებულება.

## გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატს სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ წარუდგინა საკითხი სტუ-სთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „კონფლიქტების დარეგულირების სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური კვლევების ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2014 წლის 6 თებერვლის დადგენილება №1073.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს სტუ-სთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „კონფლიქტების დარეგულირების სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური კვლევების ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.

სენატის სპიკერი,

პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სხდომის მდივანი,

სტუდენტი

ბექა კოპაძე